6 თვეში სპორტული სკოლების მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, დამქირავებელიდან ანარიცხებთან ერთად დაფინანსებულია 1,262.0 ათასი ლარით. მოხმარებული ელ-ენერგიის ხარჯმა შეადგინა 68.8 ათასი ლარი, წყლის 120.8 ათასი ლარი, გათბობის 125.0 ათასი ლარი, კაპიტალური ხარჯების 2.3 ათასი ლარი, სულ კომუნალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 316.9 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმით 458.1 ათასი ლარი). სხვადასხვა ხარჯები (სემინარები, ტურნირები, სპორტული შეჯიბრებები) დაფინანსებულია 364.0 ათასი ლარით, რაც დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 31.1 ათასი ლარით ნაკლებია. ამასთან, 3 სპორტულ სკოლას, ოლიმპიურ და სპეციალიზირებულ სპორტულ ცენტრს სპორტული შეჯიბრებებისა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებებისათვის ავანსის სახით გატანილი აქვს 12.4 ათასი ლარი და დამოწმების დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება ვალდებულების დოკუმენტში გათვალისწინებული თარიღისათვის.

სპორტული სკოლების კაპიტალური შეკეთებისათვის 6 თვის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 595.0 ათასი ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 563.5 ათასი ლარი (კაპიტალური რემონტი, სახურავების, შიგა და გარე წყალკანალიზაციის ქსელების აღდგენა), კაპიტალური სამუშაოები ჩატარდა 7 ობიექტში. მათ შორის: გ. კარტოზიას სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრი - 130.0 ათასი ლარი (გეგმით - 130.0 ათასი ლარი); გ. ვგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრი - 30.0 ათასი ლარი (30.0 ათასი ლარი); ოლიმპიური მზადების ცენტრი „სანაპრო“ - 144.6 ათასი ლარი (145.0 ათასი ლარი); წყალთა სახეობის სპეციალიზირებული სპორტული ცენტრი - 98.9 ათასი ლარი (100.0 ათასი ლარი); სპორტის სახეობათა სპეციალიზირებული სპორტული ცენტრი „ავიამშენი“ - 40.0 ათასი ლარი (40.0 ათასი ლარი); 58-ე გახანგრძლივებული დღის რეჟიმის კალათბურთის სპორტული სკოლა - 90.0 ათასი ლარი (90.0 ათასი ლარი); ჩოგბურთის სპეციალიზირებული სპორტული ცენტრი - 30.0 ათასი ლარი (60.0 ათასი ლარი); მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქციისათვის 6 თვეში გეგმით გათვალისწინებული იყო 1,520.0 ათასი ლარი. დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 3,220.0 ათასი ლარი, შესრულებამ - 3,220.0 ათასი ლარი; ქ. თბილისისა და დაბა წყნეთში მოეწყო და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 47 ხელოვნურ საფარიან მარტივი ტიპის სპორტულ მოედანს და დაიგო 20,450 კვ.მ მწვანე საფარი. სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს 23 მოედანზე, რომელთა რიცხვი დღითი დღე მატულობს.

ცენტრალიზებული სპორტული ღონისძიებების 6 თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 540.0 ათას ლარს. (გეგმით 450.0 ათასი ლარი), ფაქტიური დაფინანსება - 530.7

ათასი ლარი. შესრულება - 98,1%-ი. ამასთან, ავანსის სახით გაცემულია 32.1 ათასი ლარი და დამოწმების დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება ვალდებულების დოკუმენტში გათვალისწინებული თარიღისათვის. 6 თვეში სპორტის საქალაქო სამსახურმა ჩატარა 22 ქალაქის პირველობა, 6 ჩემპიონატი, 3 ქ. თბილისის მერიის თასი, 19 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, 21 მივლინება, 1 მასობრივი ღონისძიება (სპარტაკიადა), 1 დია მემორიალი, 2 სახელობითი ტურნირი, რომელზეც დაიხარჯა - 418.3 ათასი ლარი. სპორტული ღონისძიებებიდან 6 თვეში ფინანსური დახმარებები გაეწიათ ძიუდოს ფედერაციას - 50.4 ათასი ლარი, ქარსელაძის სახელობის ჭადრაკის სკოლას 20.0 ათასი ლარი, აგრეთვე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებისათვის შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი, დიპლომები, ქუჩის ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის დაიბეჭდა სარეკლამო ფლაიერები, რომელზეც დაიხარჯა 42.0 ათასი ლარი.

### ზედამხედველობის საქალაქო სამსახური (10 00)

2006 წლის ბიუჯეტით ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს საშტატო ერთეულთა რაოდენობა განესაზღვრა 121 ერთეულით, ხოლო ხელშეკრულებით მომუშავეთა რაოდენობა 23 ერთეულით.

სამსახურის აპარატის 6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 717.1 ათ. ლარი, დაზუსტდა 782.1 ათას ლარამდე. 100.0 ათასი ლარით გაიზარდა სხვა საქონელისა და მომსახურების ხარჯები, მათ შორის 70.0 ათასი ლარით გაიზარდა სხვა ხარჯები.

შესრულებამ შეადგინა 677.9 ათ. ლარი. აუთსისებელი დარჩა 104.2 ათ. ლარი, რაც ძირითადად მოდის შრომის ანაზღაურებისა და სხვა საქონელისა და მომსახურებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯზე.

### ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური (11 00)

ქ. თბილისის 2006 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ხარჯები განსაზღვრულია 1,620,4 ათასი ლარით, ხოლო 6 თვის დაზუსტებული გეგმა - 866.2 ათას ლარით, მათ შორის, აპარატის შენახვის წლიური გეგმა შეადგენს 836,9 ათას ლარს, 6 თვის დაზუსტებული გეგმა - 448.7 ათას ლარს, საკასო ხარჯი კი - 367.7 ათას ლარს. აქედან მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯი - 231.4 ათასი ლარი. დამქირავებელიდან ანარიცხების ხარჯი - 46.3 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება - 49.7 ათასი ლარი, კაპიტალური ხარჯები - 40.3 ათასი ლარი.

2006 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით ურბანული დაგეგმარების სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია - 783.5 ათასი ლარი, ხოლო 6 თვის დაზუსტებული გეგმით - 417.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 90.0 ათასი ლარი. აქედან კონკურსების ხარჯებზე გადარიცხულია 15.0 ათასი ლარი, დანარჩენი 75.0 ათასი ლარი გადარიცხულია რიყის ტერიტორიის განაშენიანების მოსამზადებელი სამუშაოებისათვის.

### თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის თბილისის კორპუსი (12 00)

კორპუსის აპარატის ხარჯების 6 თვის დაზუსტებული გეგმიდან - 220.0 ათასი ლარიდან, აღებული ვალდებულება შეადგენს 192.8 ლარს, გეგმის 88%-ი, დამოწმება და გადარიცხვა კი განხორციელდა 173.3 ათას ლარზე. მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 111.4 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალურმა - 61.9 ათასი ლარი.

2006 წელს საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსის მიერ სორციერდებო მიზნობრივი პროგრამა „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“. პროგრამა ითვალისწინებს სახურავების, ლიფტებისა და შიდა წყალ-გაყვანილობის შეკეთებას წილობრივი მონაწილეობით. პროგრამის მთლიანი მოცულობა დღეისათვის 13 979.7 ათას ლარს შეადგენს. მიმდინარე წლის 6 თვის ფაქტიურმა ხარჯმა 2124.2 ათასი ლარი შეადგინა, აქედან პროგრამის მომსახურებაზე დაიხარჯა 91.8 ათასი ლარი. ხარჯები გაწეულია პროგრამის მონიტორინგისათვის (საწვავისა და მონო ბარათების თანხა 24,3 ათასი ლარი და 5.7 ათასი ლარი შესაბამისად). სარეკლამო მომსახურებისათვის (7 358 ლარის ტრიპლეტები და მზადდა და 5.4 ათასი ლარი სარეკლამო ფოტო - მომსახურების შესყიდვაზე დაიხარჯა); საკანცელარიო ხარჯებისათვის - 5.7 ათასი ლარი, კოორდინატორების ხელფასისათვის - 42.5 ათასი ლარი, ვებ-გვერდის განახლებისათვის 0.8 ათასი ლარი. მიუხადავად იმისა, რომ პროექტი მთელ ქალაქს მოიცავს და საკმაოდ მაშტაბურია თითოეული დაფინანსებული პროექტი, სამუშაოების დასრულების შემდეგ სპეციალისტების მიერ დეტალურად მოწმდება. ამხანაგობებისათვის შესრულებული სამუშაოებისათვის სხვადასხვა სამ-



შენებლო კომპანიებზე 2 032.4 ათასი ლარი გადაირიცხა. სულ საანგარიშო პერიოდში დასრულდა 380 პროექტი (ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებმა შეაკეთეს სულ 380 სახურავი, ლიფტი და შიდა წყალ-გაყვანილობა). 2006 წლის პირველ ნახევარში თბილისის კორპუსში აღრიცხვაზე დადგა 876 ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა, რომლებთანაც გაფორმდა 957 ხელშეკრულება.

თბილისის კორპუსის პროგრამის - ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის - ვალდებულებები აღებულ იქნა 2 383.0 ათას ლარზე, პერიოდის დასრულებული გეგმის (2 464.5 ათასი ლარის) 97%-ზე, დამოწმდა 2 111.4 ათასი ლარი და გადაირიცხა 2 124.5 ათასი ლარი. 12.9 ათასი ლარი გაიცა ავანსად, რომლის დამოწმების დოკუმენტების წარმოდგენის პერიოდია 19-20 ივლისი.

კორპუსის პროგრამის ხარჯების სტრუქტურას მომსახურების სახის მიხედვით დაახლოებით შემდეგი სახე აქვს: ლიფტები - 602.3 ათასი ლარი; სახურავები - 1 339.4 ათასი ლარი; შიდა წყალკანალიზაცია - 90.7 ათასი ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 91.8 ათასი ლარი.

2006 წლის პირველ ნახევარში აღნიშნულ პროგრამაში ათვისებულ იქნა წლიური დაზუსტებული გეგმის 19%-ი, მომდევნო თვეებში ასათვისებელი დარჩა 9 155.5 ათასი ლარი (წლიური დაზუსტებული გეგმის 81%-ი).

### მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (13 00)

2006 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს საშტატო ერთეულთა რაოდენობა განესაზღვრა 18 ერთეულით, ხოლო ხელშეკრულებით მომუშავეთა რაოდენობა 2 ერთეულით.

სამსახურის აპარატის 6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 156.3 ათ. ლარი, დაზუსტდა 166.3 ათას ლარამდე. 10.0 ათასი ლარით გაიზარდა კაპიტალური რემონტის ხარჯები.

შესრულებამ შეადგინა 126.8 ათ. ლარი. ათვისებელი დარჩა 39.4 ათ. ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია შრომის ანაზღაურების ხარჯებში წარმოქმნილი ეკონომიით.

### კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური (14 00)

ქ. თბილისის 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის სათავეს გათვალისწინებულია 127,045.2 ათასი ლარი, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით 195,963.9 ათასი ლარი. გეგმის დაზუსტება ძირითადად გამოიწვია კეთილმოწყობის ღონისძიებების გეგმების ზრდამ.

**2006 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 86093.3 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 73348.0 ათას ლარს, ანუ 12745.3 ათასი ლარით ნაკლებს, მათ შორის, აპარატის შენახვის ხარჯები 583.4 ათასი ლარი. კეთილმოწყობის ღონისძიებები 72742.1 ათასი ლარი, აქედან გზის საფარის აღდგენითი სამუშაოების ხარჯი 28490.2 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 11718.3 ათასი ლარი, სანიაღვრე ქსელის ექსპლუატაცია 332.0 ათასი ლარი, ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა 370.0 ათასი ლარი, ქალაქგაფორმებითი სამუშაოები 2996.5 ათასი ლარი, ხიდებისა და გვირაბების მოვლა-პატრონობა 65.6 ათასი ლარი, მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა 184.3 ათასი ლარი, თბილისის ზღვის მოვლა-პატრონობა 184.3 ათასი ლარი, ფასადების შეკეთების სამუშაოები 5471.6 ათასი ლარი, დავა-დასუფთავების ღონისძიებები 15,559.9 ათასი ლარი, გამწვანების სამუშაოები 355.3 ათასი ლარი, სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებები 7168.7 ათასი ლარი. საგზაო ნიშნების მოწესრიგების ღონისძიებები 308.7 ათასი ლარი, ავარიული შენობების გამაგრება 1332.1 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური ხარჯები 1135.9 ათასი ლარი, საპროექტო სამუშაოები 245.8 ათასი ლარი.**

აღნიშნული დაფინანსების შესაბამისად სამსახურის მიერ მიხნად იქნა დასახული პრიორიტეტულ დარგებში დაფინანსების ხედვრითი წილის გაზრდა და კონკრეტული, პირველი რიგის ობიექტებისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოების პროგრამაში გათვალისწინება, რათა გაუმჯობესდეს გზების ტექნიკური მდგომარეობა

**საგზაო მეურნეობის სახით:** მიმდინარე წელს საქალაქო მეურნეობის პრიორიტეტულ ღონისძიებად განსაზღვრულ იქნა გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები, სადაც დამტკიცებული გეგმა შეადგენს 60000.0 ათ. ლარს. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 90800.0 ათ.ლარი. ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 28490.2 ათ. ლარი. მ.შ. დაფინანსების ნაშთი 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 5135.0 ათ. ლარი, დაფარულია მთლიანად.

2006 წლის 6 თვეში ქ. თბილისის გზებისა და შიდა კვარტალური ქუჩების კაპიტალურ შეკეთებაზე ჩატარებული იქნა - 6 ტენდერი, 46 ქუჩაზე (მ.შ. 2 საერთაშორისო ტენდერი 27 ქუჩაზე), მათ შორის, ომის გვირგვინის, ლავიძის, ვეკუას, ქერჩის, გლდანის I მ/რ შემოვლითი გზა, ბოჭორიშვილის, კალაუზნის, გახოკიძის, თაყაიშვილის, კუპრაძის, საბურთალოს, ბელიაშვილის, საირმის, სუხიშვილის, შავიშვილის, გიორგი ბრწყინვალის, დიმიტრი თავადაშვილის, დიდის მასივი III კვ., ახმეტელის,

პაიჭაძის, მიქელაძის, ირ. აბაშიძის, ლიბანის, მიქელაძის, სანაკოვეის, ძოწენიძის, მიქაძის, საცხენისის, ჩიქობავას, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძ. გმირების, კობერიძის ქუჩები, ვარკეთილი-3 I მ/რ, ვარკეთილი-3 II მ/რ, ვარკეთილი-3 III მ/რ, დიდი დილომი III მ/რ, დიდის მასივი I კვ, დიდის მასივი II კვარტალი, დიდის მასივი V კვარტალი, დიდის მასივი VI კვარტალი, დიდი დილომი IV მ/რ, დიდის მასივი IV კვარტალი, ვარკეთილი-3 IV მ/რ, ვახიშვილის IV მ/რ მე-3 კვ, ფონიჭაღის დასახლების შიდა კვარტალური გზები, ლავიძის IV შესახ და ცოტნე დადიანის გამზ. მონაკვეთის კაპ. შეკეთება, ბავშვთა ქალაქთან მისასვლელი გზა

2006 წლის 6 თვეში ერთ პირთან მოლაპარაკების შედეგად მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 50751 კვ.მ. ქუჩებს ქალაქის სხვადასხვა რაიონებში საერთო ღირებულებით 1494.0 ათ. ლარი,

მ. შ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს (ბარათაშვილის ხიდის მიმდებარე ტერიტორია), ზაურ ბოლქვაძის ქუჩას და დოლიძის ქუჩის დასაწყისის, ირაკლი აბაშიძის ქუჩას, საირმის ქ-ის მონაკვეთს, მინდელის სახ. ხიდს. დამბაშიძის ქუჩას, სამტრედიის, ბათუმის, თევდორე მღვდლის, ქუთაისის ქუჩებს. კოსტავას ქ-ისა და გამსახურდიას გამზირის შემაერთებელი ქუჩას, სასტ. აჭარისა და დანიური სახლის მიმდ. ტერიტორიას. მოსკოვის გამზირის, ბ. ხმელნიციის ქუჩას და მის გაგრძელებას, კინძმარაულის II შესახვევს, გმირთა მოედნის მიმდინარე ტერიტორიას, ტროლეიბუსების პარკის მიმდებარე ქუჩას, წერეთლის გამზირის მონაკვეთის, მანჯგალაძის ქუჩას, ვეფხისა და მოყმის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიას, უნივერსიტეტის ქ-ის მონაკვეთს (თამარაშვილის ქ-დან საბურთალოს სასაფლაომდე), ბარნოვის ქუჩის მონაკვეთს, ად. ყაზბეგის გამზირს, ვახუშტის ხიდს და მისი მიმდებარე პანდუსებს, ხიზანიშვილისა და დუმბაძის ქუჩებს, გამსახურდიას გამზირს, ვაგარიანის ქ. და მოედანს, ბულაჩაურის ქ. 26 მაისის მოედანს, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს მონაკვეთს, ფალიაშვილის, ზანდუკელის, ნუცუბიძის, თამარაშვილის, უნივერსიტეტის, ქავთარაძის, გუდამაყრის, ქსნის, ანაპის დივიზიის ქუჩებს, ქეთევან წამებულის პროსპექტს, წურწუმიას და ირბახის, კობარეთის, კვაჭანტირაძის, დავითაიას ქუჩებს და სხვა.

**ქალაქის გარეგანი ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე 2006 წლის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 13000.0 ათ. ლარი, დაფინანსების ნაშთი 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 979.2 ათ. ლარს. დაზუსტებული გეგმა შეადგენს 21500.0 ათ.ლარს. 6 თვის დაფინანსებამ შეადგინა 11718.3 ათ. ლარი (მ.შ. 2005 წლის კრედ. დაფინანსება 979.3 ათ. ლარი), ხოლო შესრულებულია 9160.0 ათ. ლარის სამუშაოები.**

შპს „თბილქალაქანათება“ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით მომსახურებას უწევს 48.0 ათასამდე სანათი წერტილს, მ.შ. 27.0 ათასამდე მომქმედს, ხოლო 21.0 ათასამდე სანათი დაკონსერვებულია და საჭიროებს კაპ. შეკეთებით სამუშაოებს. აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს ეტაპობრივად და წლის ბოლოსთვის მოქმედი სანათი წერტილების რაოდენობა გაიზარდება 80-85%-ით.

მიმდინარეობს ქ.წამებულის გამზირის, ჩოლოყაშვილის ქუჩის, ბოგდან ხმელნიციის ქუჩის, ლილოს დასახლების, ზემო ფონიჭაღის დასახლების, გლდანულას დასახლების, ქეთევან წამებულის გამზირის მონაკვეთის (მ/ს „ისანი“-დან - მოსკოვის გამზირამდე), დოლიძის, ჩიქოვანის, ბაღანნივადის, იოსელიანის, ჩაილურის, ტყუპურის, ნასიძის, ჭიათურის, ახალშენის, ბაკურციხის, პანკისის, ბოლქვაძის, ნატახტარის, ტუსკიას, ლიხაურის, ლიხაურის ჩიხების, შესახვევის, ბაკურციხის, ქარელის და წინაშენის ქუჩების, ვარკეთილის 3 მე-IV მ/რ-ის, 3 III მ/რ-ის, IIIA მ/რ-ის თაყაიშვილის, კუპრაძის, დვალის ქუჩების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს შემსყიდვების მიერ მიწოდებული სანათებით.

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში სანათების შეყიდვაზე ჩატარდა ღია ტენდერი ღირებულებით -3800.0 ათ ლარი. შესყიდული იქნა 17000 სანათი.

არქიტექტურული და მხატვრული მინათება გაუკეთდა ი. ჭავჭავაძის გამზ. №74 კორპუსის ფასადს, სპორტის სასახლის ფასადს, ვაჟა-ფშაველას ძეგლს, ბარათაშვილის ძეგლის მიმდ. სკვერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიმდებარე სკვერს, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიას, სამტრედიის ქ-ზე არსებული კორპუსების №51,3ა,4ა მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფასადს, ილ. ჭავჭავაძის გამზირზე შეკენკოს ძეგლს, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ თაღებს, ილ. ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ თაღებს.

**ქალაქის სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაციასა და კაპ. შეკეთებაზე** ბიუჯეტით დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 1000.0 ათ. ლარი -შესრულებულია 345.0 ათ. ლარის სამუშაო. გადარიცხულია იქნა 332.0 ათ. ლარი.

ქ. თბილისის სანიაღვრე მეურნეობა მოიცავს 430 კმ. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელებს, რომლებზეც მოწყობილია 60 სათავე ნაგებობა, 1200 გვერდმიმდები, 1000-მდე წვიმიმიმდები და საკონტროლო ჭა.

შპს „სანიაღვრე მეურნეობა“ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით ყოველდღიურად ატარებს სანიაღვრე ქსელების საექსპლუატაციო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს.

**გაფორმებითი სამუშაოების 2006 წლის დამტკიცებუ-**

ლი გეგმა შეადგენს 2780.0 ათ. ლარს. დაფინანსებამ 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 44.0 ათ. ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენს 8080.0 ათ. ლარს. ფაქტიურად შესრულდა 3092.6 ათ. ლარის სამუშაოები, დაფინანსება 2996.5 ათ. ლარი. (მ.შ. 2005 წლის კრედ. დაფინანსება 35.2 ათ.ლარი)

საქართველოს სახელმწიფო დროშების და უცხო ქვეყნის დროშების შესყიდვაზე ჩატარდა ღია ტენდერი ღირებულებით 300.0 ათ. ლარი.

შესრულებულ იქნა სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები, მ.შ. შობა-ახალი წლის ღონისძიება; შვედეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრის ბ-ნ იორან პერსონის საქართველოში ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებული ღონისძიებები; თურქეთის პრეზიდენტის ბ-ნ აჰმედ ნეჯდეთ სეზერისა და ქ-ნ სემრა სეზერის ვიზიტთან დაკავშირებული ღონისძიებები; დამზადდა დროშები, გმირთა მოედანზე დროშების მხატვრული მინათება და ა.შ. 26 მაისის ღონისძიებებთან, ყვავილების ფესტივალის „ვარდობის თვე თბილისში“ დაკავშირებული ღონისძიებები და სხვა.

**ნაგავსაყრელი პოლიგონების და ფონიჭაღის ნ/გა-დამტკიცებით** სადგურის მოვლა-პატრონობაზე დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულია 800.0 ათ. ლარი. დაფინანსების ნაშთი 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 7.2 ათ. ლარს. დაზუსტებული გეგმა შეადგენს 525.0 ათ.ლარს. გეგმის შემცირება განაპირობა დასუფთავების სამსახურის კეთილმოწყობის სამსახურიდან გამოყოფამ.

ფაქტიურად შესრულდა 418.8 ათ. ლარის სამუშაოები. ხოლო ბიუჯეტიდან გადაირიცხულია 370.0 ათ. ლარი. მ.შ. 2005 წლის კრედ. დაფინანსება 7.2 ათ.ლარი.

ქ. თბილისიდან გახილულ მუნიციპალურ (საყოფაცხოვრებო) ნარჩენებს იღებს გლდანისა და იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონები. საანგარიშო პერიოდში გაუვნებლობისათვის შეტანილი იქნა 712760 კუბური მეტრი ნარჩენი.

ნაგავსაყრელი პოლიგონებზე შეხილულ ნაგავს უკეთდება გაუვნებლობა, კერძოდ, ხდება მისი გადაწვევა და გასწორება წინასწარმოწყობილ მოედნებზე, კეთდება მოედანზე მისასვლელი გზების მცირე მოცულობის შეკეთება, პერიოდულად ტარდება დეზინფექცია-დერატიზაცია. ფონიჭაღაში მოქმედებს ნაგავგადამტვრითი სადგური.

ხიდებისა და გვირაბების 2006 წლის დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენს 1100.0 ათ. ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 69.4 ათ. ლარი. დაფინანსებამ - 65.6 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში საექსპლუატაციო სამუშაოები ჩატარდა მეტეხის საგვირაბო კომპლექსს.

ქალაქში განთავსებული **54 მიწისქვეშა გადასასვლელიდან** დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 39 გადასასვლელი, სადაც ხორციელდება საექსპლუატაციო სამუშაოები.

2006 წელს ამ კუთხით ბიუჯეტის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 500.0 ათ. ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1000.0 ათ. ლარს. შესრულებული იქნა 222.9 ათ. ლარის მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობის და სარემონტო სამუშაოები. ამ მიზნით ბიუჯეტიდან დაფინანსება შეადგენს 184.3 ათ. ლარს.

**თბილისის ზღვის მოვლა-პატრონობაზე** 2006 წელს გათვალისწინებულია 100.0 ათ. ლარი. აღნიშნულ სამუშაოებზე აპრილის თვეში ჩატარებულ იქნა ღია ტენდერი ღირებულებით 58.9 ათ. ლარი, რომლის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაციები, რომლებიც განახორციელებენ თბილისის ზღვის, №1 და №2 პლაჟის 24-საათიან დაცვას, გლდანის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის 24-საათიან დაცვას.

ჩასატარებელია პლაჟის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, მ.შ. პლაჟის ზედაპირის მოწყობის, საწარმოების დასაფარვის და მონტაჟის, სპორტული და საბავშვო კომპლექსის რეკონსტრუქცია.

საანგარიშო პერიოდში, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 29.6 ათ. ლარი.

**ფასადების შეკეთებით სამუშაოებზე** მწლის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 6000.0 ათ ლარს. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14750.0 ათ ლარი. დაფინანსება 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 544.1 ათ. ლარს. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ოთხი ტენდერი ფასადების სარემონტო, აღდგენით და მოპირკეთების სამუშაოებზე.

შესრულდა შენობა-ნაგებობების ფასადების ანაზომების სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების მოცულობა შეადგენს 7426.9 ათ. ლარს, ხოლო დაფინანსება - 5471.6 ათ. ლარს. მ.შ. 2005 წლის კრედიტორული დაფინანსება - 544.1 ათ. ლარი.

ქ. თბილისის **სანიტარიული დასუფთავების პროგრამით** 2006 წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 13000.0 ათ.ლარს, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 21210.0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ღია საერთაშორისო ტენდერი მუნიციპალური მყარი და დიდი ზომის ნარჩენების შეგროვებასა და ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებაზე, ქუჩების დაგვა-დასუფთავებასა და მონახვეტი ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებაზე.



ნაგავსაყრელებზე გაუნებლობისათვის შეტანილი იქნა 712760 კუბური მეტრი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ფაქტიურმა დაფინანსებამ – 15559.9 ათ. ლარი შეადგინა.

**ქალაქამწვენიის სამუშაოების** 2006 წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 2000.0 ათ.ლარს. დახუცებულმა გეგმამ შეადგინა 2470.0 ათ. ლარი. დავალიანება 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 20.9 ათ. ლარს. კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ სისტემატურად ხორციელდება ქალაქში არსებული მწვენი ზოლების, ბაღ-პარკების დაგვა-დასუფთავება, ხეების სეზონური გადაბეღვა, ავრო-ტექნიკური ღონისძიებები, ხე-ბუჩქების ფორმირება, სატყეო მეურნეობების შევსება ნერგებით, მოსასვენებელი საბაღე სავარძლების მოწყობა და შეკეთება მოქალაქეებისათვის.

მიმდინარე წლის მარტის თვეში შესყიდული იქნა და აეროპორტის ავტოსტრადაზე დაირგო სხვადასხვა სახის 368 ძირი ნერგი.

საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების მოცულობა შეადგენს 372.2 ათ. ლარს, ხოლო დაფინანსება – 355.3 ათ. ლარს.

**სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოები** 2006 წლის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 6300.0 ათ. ლარის ოდენობით, დახუცებულმა გეგმამ შეადგინა 15435.0 ათ. ლარი. 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანებამ შეადგინა 199.6 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში შექმნილი იქნა ტექნიკური მართი და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით მოყრილი იქნა ქალაქის სხვადასხვა უბნებში. ღია ტენდერის შედეგად შეძენილი იქნა ყინულის მოცილების გასაბერი გადახვევის საშუალება, რიყის ტერიტორიაზე მოეწყო ატრაქციონი „ტაურის“, მიმდინარეობს ხეების გადაბეღვა, თავისუფლების მოედანზე მიმდინარეობს სამუშაოები „წმინდა გიორგის“ ქანაკების დასამონტაჟებლად და ჯილჯიდა ოქროთი მოსაპირკეთებლად.

სხვადასხვა ერთჯერადი კეთილმოწყობის ღონისძიებების ფაქტიურმა დაფინანსებამ 7168.7 ათასი ლარი.

**ქ.თბილისის ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-რეაბილიტაციისათვის** 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულია 5744.9 ათ. ლარი. დახუცებულმა გეგმამ შეადგინა 7220.1 ათ.ლარი. 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანებამ შეადგინა 370.5 ათ. ლარი. 6 თვეში ფაქტიურად დაფინანსდა 1332.1 ათ. ლარის სამუშაოები (მ.შ. 2006 წლის კრედიტორული დავალიანების დაფარვა-470.5 ათ.ლარი)

სამუშაოები შესრულდა შემდეგ ობიექტებზე: ვარკეთილი - 3 კორპ. 303, ვარკეთილი ზ/პ კორპ. 3, ვარკეთილი -3 I მ/რ კორპ. 18, ვარკეთილი -3 I მ/რ კორპ. 25, გამსახურდიას ქ. №36, ვახისუბნის დასახლება კორპ. 2ა, გლდანის VII მ/რ კორპ. 26, ვახისუბნის დასახლება კორპ. 17, ვახისუბნის დასახლება კორპ. 21, ვახისუბნის დასახლება კორპ. 22, ნუცუბიდის IV მ/რ კორპ.21, ჟვანიას სახ. ბავშვთა კლინიკური საავადმყოფო, ლომოურის ქ. №1.

**კაპიტალური მშენებლობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის პროგრამა** (სხვა კაპიტალური ხარჯი) 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენს 7228.0 ათ.ლარს.

დახუცებულმა გეგმამ შეადგინა-6271.3 ათ.ლარი. 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანებამ შეადგინა 446.2 ათ.ლარი). ფაქტიურად შესრულდა დაფინანსდა 1135.9 ათასი ლარის სამუშაოები. მ.შ. 2006 წლის კრედიტორული დავალიანების დაფარვა 430.3 ათ. ლარი.

სამუშაოები მიმდინარეობდა:

- ელექტროგადამცემი ხაზის „ორთაჭალა 1-2“-ის №4 ანძის მიმდებარე დაზიანებული ჯებორის აღდგენა-გამაგრება, „წმიდა სამების“ ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო კომუნიკაციები, საინფორმაციო ცენტრის აღდგენა-რეკონსტრუქცია ზუბალაშვილის ქ.23, სუხიშვილების სტუდიის აღდგენა-რეკონსტრუქცია, ბახტრიონის ქ. 35 ელექტროსადგომის რეკონსტრუქცია, ვაშლიჯვარის IIIა ზონა მუყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

კაპიტალური მშენებლობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის პროგრამით **საპროექტო დოკუმენტაციის** მომზადება 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენს 745.7 ათ. ლარს. დახუცებულმა გეგმამ შეადგინა-945.7 ათ.ლარი. 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანებამ შეადგინა 145.7 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად შესრულდა 128.1 ათ. ლარის სამუშაოები. ხოლო 6 თვის დაფინანსებამ შეადგინა – 245.8 ათ. ლარი. (მ. შ. 2006 წლის კრედიტორული დავალიანების დაფარვა 118.2 ათ. ლარი).

**საგზაო ნიშნების მოწესრიგების პროგრამით** ფაქტიურად დაფარულია 2005 წლის კრედიტორული დავალიანება 308.7 ათ. ლარის ოდენობით.

**შპს „თბილისის წყალი“ (15 00)**

2006 წლის 6 თვეში ქალაქის ბიუჯეტიდან წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად დაგეგმილი იყო 5,721.5 ათასი ლარი. ფაქტიურად 6 თვეში ქალაქის ბიუჯეტიდან სულ მიღებულია 5,719.4 ათასი ლარი (100%). აღნიშნული თანხიდან 858.0 ათასი ლარით დაფინანსდა მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებზე გაერცვლებული შეღავათები, ხოლო დარჩენილი ნაწილით ორგანიზაციის მიმდინარე საქსპლუატიციო ხარჯები, კერძოდ, ორგანიზაციის მიერ 6 თვეში მოხმარებული ელექტრობის ღირებულება – 3,658.1 ათასი ლარი, ასევე შექმნილ იქნა დიდი დიამეტრის მილები და ფასონური ნაწილები ღირებულებით 459.1 ლარი, ხოლო 602.2 ათასი ლარი გადახდილია ობიექტების დაცვის ღირებულებაზე.

ასევე საწესდებო კაპიტალის შესავსებად 6 თვეში დაგეგმილი იყო 18,657.0 ათასი ლარი, ფაქტიურად ბიუჯეტიდან განხორციელდა 100%-იანი დაფინანსება, რომლითაც დაფინანსდა მიმდინარე პერიოდის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

კერძოდ, 2006 წლის 6 თვეში შესრულდა 20,789.6 ათასი ლარის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მათ შორის:

1. ქ. თბილისის წყალმომარაგების სარეზერვუო სათავე ნაგებობების მშენებლობა მდ. არაგვზე ბუფერულ აუზთან – 202.1 ლარი.
  2. ზემო ვედისში „540“ ნიშნულზე 10 000 მ<sup>3</sup> მოცულობის სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობა – 1,015.4 ათასი ლარი.
  3. გლდანში, ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიმდებარე წყალმომარაგების ქსელის გაუმჯობესება – 2,133.5 ათასი ლარი.
  4. ზღვის უბნის 10 000 მ<sup>3</sup> მოცულობის სასმელი წყლის რეზერვუარის რეკონსტრუქცია – 296.9 ათასი ლარი.
  5. ფონიჭალის დ-900 მმ წყალდენის მაგისტრალური აკვედუკი – 763.5 ათასი ლარი.
  6. პროექტირება – 435.1 ათასი ლარი.
  7. სასმელ-სამეურნეო წყალდენისა და კანალიზაციის ქსელები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში – 15,943.0 ათასი ლარი.
- ასევე ბიუჯეტიდან დაგეგმილი იყო 143.0 ათასი ლარი ძველი კრედიტორული დავალიანების დასაფარავად ფაქტიურად აღნიშნული მიზნით მიღებულ იქნა 142.8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კრედიტორული დავალიანების სრულად დაფარვისათვის წლის ბოლომდე მისაღები რჩება 246.3 ათასი ლარი.

**„თბილისის მეტროპოლიტენი შპს“ (16 00)**

მეტროპოლიტენით გადასაყვან მგზავრთა რაოდენობა 2006 წელს პროგნოზირდება 107,0 მილმგზავრით. მათ შორის მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მგზავრთა გადაყვანის გეგმა შესრულებულია 104,5%-ით. გადაყვანილია 56445,74 ათ. მგზავრი, რაც გეგმას (54,0 მილ) 2445,74 ათასი მგზავრით, ხოლო გასული წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელს 5595,74 მილ. მგზავრით აღემატება. „მეტროპოლიტენის“ სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირების პროგრამის ფარგლებში ქალაქის ბიუჯეტიდან მიღებულია 6340,98 ათასი ლარი და გადაყვანილ მგზავრთა მიღიან რაოდენობაზე შენარჩუნებულია მგზავრობის დაბალი ტარიფი 20 თეთრის ოდენობით, ამასთანავე უზრუნველყოფილია ყოველდღიურად 40,1 ათასი იძულებით გადაადგილებული პირის, 12,0 ათასი ომის ვეტერანის, 500 უზო-უკვლოდ დაკარგულ მეტროპოლიტენის ოჯახის წევრის, 55 საინცილოდან ჩამოსული სტუდენტის და 122 საქართველოს უსინათლოთა კავშირისათვის მეტროპოლიტენით უფასო მგზავრობა.

მოძრავი შემადგენლობის (ვაგონების) მოდერნიზაციის 2006 წლის პროგრამა ითვალისწინებს 13392,0 ათ. ლარს, 2006 წლის პირველი ნახევარი წლის პროგრამით გათვალისწინებული 7000,0 ათ.ლარიდან საქალაქო ბიუჯეტიდან მიღებულია 6883,32 ათ.ლარი. მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსათვის ექსპლუატაციაში გაშვებული იქნა 12 ახალი ვაგონი.

რაც შეეხება სადგურებისა და ვესტიბიულების კაპიტალურ შეკეთებას 2006 წლის პროგრამით გათვალისწინებულია 2550,0 ათ.ლარი. მათ შორის პირველ ნახევარ წლის ფინანსირება შეადგენს 1015,24 ათ.ლარს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1300,0 ათ.ლარი. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები მუშაობას შეუდგნენ აპრილის თვიდან, რის გამოც ვერ იქნა ათვისებული გეგმით გამოყოფილი მთლიანი თანხა.

მეტროპოლიტენის მშენებარე ობიექტებზე 2006 წელს დაგეგმილია 1825,0 ათ.ლარი, მათ შორის მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაფინანსებულია 372,0 ათ.ლარის სამუშაოები, გეგმით გათვალისწინებული 862,5 ათ. ლარის ნაცვლად. მეტროპოლიტენის მშენებარე ობიექტებზე ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების შესრულებაზე ტენდერში გამარჯვებულია შპს „თბილმეტრომშენი“. სამუშაოების დაწყება გათვალისწინებული იყო მეორე კვარტლიდან.

**ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (17 00)**

მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მართვას, რეგულირებას, ხელმძღვანელობას, ავრთვე დელაქაბაქის საგზაო ნიშნების მოწესრიგების სამუშაოებზე და სამგზავრო ტრანსპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებზე დაკვეთის ფუნქციის შესრულებას ახორციელებს ტრანსპორტის საქალაქო სამსახური. დელაქაბაქის მოსახლეობას საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურებას უწევს ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“, „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“ და „თბილბავირტრანსი“, აგრეთვე მიკროავტობუსების 50 და ავტობუსების 3 კერძო გადაამხიდავი.

შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“ 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხება 519 ავტობუსის მოძრავი შემადგენლობა.

ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 22 ივლისის №121 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 7 ივლისის №1121.245 და 28 ივლისის №12.16.263 დადგენილებების თანახმად, გაფორმებულია გრძელვადიანი ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის დაბალპროცენტული კრედიტის გამოყოფის თაობაზე, 2005-2006 წლებში ავტობუსების შესაძენად, 3,1 მილნ. ევროს ოდენობით. გარდა აღნიშნულისა დამატებით გრანტის სახით გამოიყო 405 ათასი ევრო „დაფ“-ის მარკის ავტობუსების შესაძენად.

2006 წლის საანგარიშო პერიოდში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან აღებული სესხით შეძენილია 26 ერთეული საშუალო ტევადობის „ბოვდან“-ის მარკის ავტობუსი, ხოლო გრანტის თანხით – 22 ერთეული „დაფ“-ის მარკის ავტობუსი, სულ მიმდინარე წლის 6 თვეში საავტობუსო პარკი შეივსო 48 ერთეულით, 1 ერთეული გადაეცა სხვა ორგანიზაციას.

2006 წლის 6 თვეში წარმოდგენილი მონაცემებით მუნიციპალური ავტობუსებით გადაყვანილია 19,0 მილნ. მგზავრი, რაც წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაზრდილია 83 პროცენტით. ამასთან, შესრულებულია 167,0 მილნ. მგზავრიკილომეტრი, 238 ათასი ბრუნი, საერთო გარბენა – 4,6 მილნ.კმ., მგზავრთა გადაყვანიდან საწარმოს შემოსავალმა შეადგინა 4196,5 ათასი ლარი, რაც გასული წლის ამავე მაჩვენებელთან შედარებით 2114,1 ათასი ლარით, ანუ ორჯერ არის გაზრდილი.

მგზავრთა გადაყვანის შედეგითანი ტარიფის შენარჩუნებისათვის, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებულია სუბსიდი 4000,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხით ნაწილობრივ დაიფარა საწარმოს საქსპლოატაციო დანახარჯები. კერძოდ, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები – 905,6 ათასი ლარი, სოციალური გადასახადი – 168,5 ათასი ლარი, საწვავი – 2925,9 ათასი ლარი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან აღებული სესხის პროცენტი ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში დაიფარა 700,6 ათასი ლარის ოდენობით.

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო“ 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწარმოს ბალანსზე ირიცხება 140 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, მათ შორის 17 ერთეული ტრამვაი და 123 ერთეული ტროლეიბუსი. ამ პერიოდისათვის სამარშრუტო სქემა მოიცავდა ტროლეიბუსების 14 და ტრამვაის 1 მარშრუტს.

ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 20 იანვრის № 01.02.02 დადგენილებით ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე გაუქმდა ტროლეიბუსების 7 სამარშრუტო ხაზი – №№ 1,4,6,8,9,11,12 მარშრუტები. ა.წ. 1 ივლისის მდგომარეობით ფუნქციონირებს ტროლეიბუსების 7 და ტრამვაის 1 სამარშრუტო ხაზი.

თბილისის მთავრობის განკარგულებით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებს სანუქრად გადაეცა 26 ერთეული ტროლეიბუსი.

მგზავრობის შედეგითანი ტარიფის შენარჩუნებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებულია სუბსიდი 320,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხით ნაწილობრივ დაიფარა საწარმოს საქსპლოატაციო დანახარჯები. კერძოდ, თანამშრომელთა ხელფასები, მოხმარებული ელენერჯის ღირებულება და ბიუჯეტის გადასახდელები. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა მიმართ შპს „თბილტრანსის“ დავალიანება ფინანსთა სამინისტროს მიერ აღიარებულია სახელმწიფო საშინაო სავალო ვალდებულებად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 10 აგვისტოს №181 ბრძანებით დაწყებულ იქნა ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის სანაცვლო საკომპენსაციო თანხებით დაკმაყოფილება.

ქ. თბილისის ბიუჯეტში 2006 წელს ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის სანაცვლო საკომპენსაციო თანხებით დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებულია 1000,0 ათასი ლარი. მიმდინარე წლის 6 თვეში ბიუჯეტიდან მიღებულია 496,9 ათასი ლარით დაკმაყოფილებულია 21 ოჯახი.

2006 წლის საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის აპარატის ხარჯებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 242,4 ათასი ლარი. ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 226,8 ათასი ლარი, 1 ივლისისათვის რესურსი დარჩა 15,6 ათასი ლარი.

დელაქაბაქის სატრანსპორტო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით პირველ ეტაპზე სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ოპტიმალური სქემა, შეჯერებული მგზავრობის რეალურ მდგომარეობასთან, რომელიც დამტკიცდა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 24 თებერვლის №3-18 გადაწყვეტილებით და ითვალისწინებს მიკროავტობუსების 214 მარშრუტს 2383 მოძრავი შემადგენლობით. სამსახური აწარმოებს ინტენსიურ მოლაპარაკებებს სხვადასხვა უცხოურ კერძო სატრანსპორტო ოპერატორებთან ქალაქში არსებული სატრანსპორტო გადაზიდვების ბაზრით დაინტერესების მიზნით.

**ქ. თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (18 00)**

ქ. თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის 2006 წლის 6 თვის გეგმა ცვლილებების გათვალისწინებით



შეადგენს 97,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი -84,3 ათას ლარს, მათ შორის მიმდინარე ხარჯები - 74,3 ათასი ლარი. კაპიტალურ ხარჯებში გათვალისწინებული 10,0 ათასი ლარი გამოყენებული იქნა არქივის ოფისის მოსაწესრიგებლად: შეძენილი იქნა კომპიუტერი, კომპიუტერის მაგიდა, ფაქსის აპარატი და საწერი მაგიდები.

### საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველო (19 00)

სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს 2006 წლის ექვსი თვის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 90,0 ათასი ლარი. შესრულებამ 75,2 ათასი ლარი. გეგმის (83 %) აღებული ვალდებულება და დამოწმება შეადგენს 75,2 ათას ლარს.

### შპს ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახური (20 00)

წყალში მაშველთა სამსახურის 2006 წლის ექვსი თვის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 54,8 ათასი ლარი, ექვსი თვის შესრულებამ 42,0 ლარი (გეგმის 76 %), ამავე ოდენობით განისაზღვრა აღებული ვალდებულება და დამოწმება.

### შინაგან საქმეთა სამმართველო (21 00)

ქობილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს 2006 წლის 6 თვის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 490,9 ათას ლარს, ფაქტიური ხარჯი გაწეულია 461,7 ათასი ლარის ოდენობით. ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველო და მის დაქვემდებარებაში მყოფი რაიონული სამმართველოები მილიანად შეადგენს 36 ობიექტს. გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა კომუნალური ხარჯები, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ობიექტებზე დამთავრდა სარემონტო სამუშაოები, განხორციელდა მიწებები და შესაბამისად გაიზარდა სასარგებლო ფართობი, კეთილმოწყობა და შემოიღობა შს მთავარ სამმართველოსა და მისი დანაყოფების ეზოები და ავტოსადგომები, გათბობის სისტემები გადაყვანილი იქნა ბუნებრივი აირის მოხმარებაზე. დამონტაჟებული იქნა ჰამთარ-ზაფხულის კონდიციონერების სისტემები. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა სატელეფონო კავშირგაბმულობის ქსელი და დღეისათვის სამმართველოს სარგებლობაშია 364 ერთეული ტელეფონი.

2006 წლის 6 თვის დაზუსტებული ბიუჯეტით კომუნალური ხარჯები შეადგენს 945,1 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 443,9 ათასი ლარი. მათ შორის ელექტროენერჯია გეგმა 208,0 ათასი ლარი, ფაქტი 208,0 ათასი ლარი. წყლის ხარჯი 98,1 ათასი ლარი, ფაქტი 88,6 ათასი ლარი, რაც გეგმიურთან შედარებით 9,5 ათასი ლარით ნაკლებია. ბუნებრივი აირის ხარჯი გეგმით 43,0 ათასი ლარი, ფაქტიურად მთლიანად დაფინანსებულია. კავშირგაბმულობის ხარჯი გეგმით 105,8 ათასი ლარი, ფაქტი 95,3 ათასი ლარი.

სხვა ხარჯებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 16,1 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 6,8 ათასი ლარი. 2006 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კრედიტორული ვალდებულება შეადგენს 408,4 ათას ლარს.

### ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური (22 00)

ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურს ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით დაუმტკიცდა 3443,0 ათ. ლარი, მათ შორის: მმართველობითი აპარატის შესანახი ხარჯი - 306,7 ათ. ლარი, სუბსიდიები - 3136,3 ათ. ლარი. საშტატო ერთეულთა რაოდენობა განესაზღვრა 568 ერთეულით, მათ შორის: აპარატი - 38 ერთეული, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებში დასაქმებული პერსონალი - 530 ერთეული. ქ. თბილისის მერის 14.06.06 წლის №98 განკარგულებით სამსახურს დაუმტკიცდა ახალი საშტატო ერთეულთა ნუსხა, რომლითაც მმართველობითი აპარატის საშტატო ერთეულთა რაოდენობა განისაზღვრა 52 ერთეულით.

ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 თებერვლის №03.07.61 დადგენილების საფუძველზე სამსახურისათვის 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში განხორციელდა ცვლილება, რის გამოც სამსახურისათვის დამტკიცებული საერთო საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობა არ შეცვლილა, კერძოდ: სუბსიდიების ხარჯი შემცირდა 110,7 ათ.ლარით და იგივე ოდენობით გაიზარდა აპარატის შესანახი ხარჯი.

6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 1821,1 ათასი ლარი, ფაქტი 1734,2 ათასი ლარი. მათ შორის: აპარატი გეგმა 213,0 ათასი ლარი, ფაქტი 170,8 ათასი ლარი. სუბსიდიები 1608,1 ათასი ლარი, ფაქტი 1563,4 ათასი ლარი. 6 თვის განმავლობაში ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე გეგმა დაზუსტდა აპარატისათვის 216,2 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლში 161,3 ათასი ლარით და შესაბამისად დამქირებელიდან ანარიცხების მუხლში 32,3 ათასი ლარით (სხვა საქონელისა და

კაპიტალური ხარჯების გეგმა არ შეცვლილა). ხოლო სუბსიდიებში 1604,9 ათასი ლარით. აღნიშნული დაზუსტება გამოიწვია აპარატი შრომის ანაზღაურების ფონდისა და შესაბამისად დამქირებელიდან ანარიცხების გაზრდა.

2006 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კრედიტორული ვალდებულება შეადგენს 287,2 ათას ლარს.

ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული სტრუქტურული რეფორმის შედეგად 2006 წლის 4 ივლისიდან ლიკვიდაცია განიცადა შპს „ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახურმა“ და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველო, ხოლო რეორგანიზებულ იქნა ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური, რომელთა ბაზაზე შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრე - ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახური.

### დაზარალებულ თბილისელთა პრობლემების კოორდინაციის კომისია (25 00)

1991-92 წ.წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მატერიალური ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სავადასახლო საქმეთა კოლეგიის 26.04.02 №3 ა/87 გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სამართლის 20.11.02 №3 გ/ად 212კ-02 განჩინებით ქ. თბილისის მერიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდურად დაეკისრა 4606,9 ათასი აშშ დოლარის გადახდა. გარდა აღნიშნულისა 2003-2005 წლებში 24 დაზარალებული მოქალაქის სასარგებლოდ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ქ. თბილისის მერიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდურად დაეკისრა 919,6 ათასი აშშ დოლარის გადახდა. 2003 წლიდან 2006 წლის პირველ იანვრამდე ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებით გამოყოფილი 1586,5 ათასი ლარი 1991-92 წ.წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივ კონტროლის კომისიის მიერ ყოველთვიურად ნაწილობრივად დაზარალებულ მოქალაქე პროპორციულად წესით და სს „საქართველოს ბანკის“ მიერ კომისიის წარდგენილი სიის შესაბამისად დაზარალებულ მოქალაქეთა მატერიალური ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის 2006 წლის 6 თვეში გადარიცხულია გეგმით გათვალისწინებული 400,8 ათასი ლარი.

### მერის სარეზერვო ფონდი (26 00)

ქ.თბილისის 2006 წლის 6 თვეში მერის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იქნა 494,3 ათასი ლარი, მათ შორის: სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის 65,1 ათასი ლარი, სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის 429,2 ათასი ლარი.

### 2005 წელს წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა (26 00)

2006 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 2005 წელს წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად 1500,0 ათასი ლარი, საიდანაც 6 თვეში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დავალიანებების დასაფარავად მიიმართა 592,9 ათასი ლარი.

### გლდანი-ნაძალადევის რაიონი (28 00)

გლდანი-ნაძალადევის რაიონის 2006 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენს 4799,2 ათას ლარს, რომელიც ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 თებერვლის № 03.11.65, 2006 წლის 16 მაისის № 12.16.24 დადგენილებების, რაიონის გამგეობის №46, №73 დადგენილებების და განკარგულებების საფუძველზე დაზუსტდა და შეადგინა 4714,4 ათასი ლარი. შესრულებული იქნა 4126,4 ათასი ლარით ანუ გეგმის 87,5 პროცენტით, შემოსავალი გადაიხდებოდა ხარჯებზე შეადგინა 783,2 ათასი ლარი, გარდამავალი ნაშთია 40,0 ათასი ლარი და თავისუფალი ნაშთია 10,6 ათასი ლარი.

რაიონის ბიუჯეტის 2006 წლის ხარჯების 6 თვის დამტკიცებული გეგმა 4 799,2 ათასი ლარი, დაზუსტებულია და შეადგენს 4 714,4 ათას ლარს, საანგარიშო პერიოდისათვის აღებულია ვალდებულება 4 382,5 ათას ლარზე, დამოწმებამ შეადგინა 4 126,4 ათასი ლარი, რომელიც დაფინანსებულია 4 126,4 ათასი ლარით, ანუ გეგმის 87,5%-ით. რესურსი შეადგენს 350,6 ათას ლარს.

ცალკეული ღონისძიებების მიხედვით დაფინანსების მდგომარეობა ასე გამოიყურება: მმართველობითი ორგანოების ხარჯების დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმა იყო 326,8 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდისათვის ნაკისრმა ვალდებულებამ შეადგინა 314,2 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია 305,3 ათასი ლარი, რომელიც დაფინანსებულია 305,3

ათასი ლარით. რესურსი შეადგენს 12,7 ათას ლარს. უშუალოდ გამგეობის აპარატის შენახვის ხარჯების დამტკიცებული გეგმა-292,1 ათასი ლარი, ვალდებულებამ შეადგინა 283,2 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია 275,3 ათასი ლარი და საკასო ხარჯიც შეადგენს 275,3 ათას ლარს.

ცალკეული მუხლების მიხედვით კი შესრულება ასე გამოიყურება:

შრომის ანაზღაურების დამტკიცებული გეგმა 178,4 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 170,6 ათასი ლარი.

სხვა საქონელი და მომსახურების დამტკიცებული გეგმა 88,7 ათასი ლარი, დაზუსტებულია გამგეობის 15 მაისის №490 განკარგულებით და შეადგინა 86,4 ათასი ლარი, საკასო ხარჯია -77,5 ათასი ლარი, საიდანაც 4,1 ათასი ლარი ოფისის ხარჯია, 55,6 ათასი ლარი - კომუნალური, 11,0 ათასი ლარი - ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და შენახვის ხარჯი და 6,8 ათასი ლარი -სხვა ხარჯია, საიდანაც 2,5 ათასი ლარი სადემუტატო ბიუროების შენახვის ხარჯია.

კაპიტალური ხარჯის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 25,0 ათას ლარს, მათ შორის: ინვენტარის შეძენის ხარჯი 15,0 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალური შეკეთების 10,0 ათასი ლარი, გამგეობის 2006 წლის 23 იანვრის №91 და 15 მაისის № 490 განკარგულებების საფუძველზე ინვენტარის შეძენის ხარჯი გაიზარდა 12,3 ათასი ლარით, შეადგინა 27,3 ათასი ლარი და შესაბამისად შემცირდა კაპიტალური შეკეთების ხარჯი, საკასო ხარჯია 27,3 ათასი ლარი (შეძენილია ავტომანქანა, 7 მობილური ტელეფონი და კომპიუტერი).

რაიონის სამხედრო განყოფილების დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმა 34,7 ათასი ლარი, საკასო ხარჯია -29,9 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე საკასო ხარჯი შეადგენს 16,5 ათას ლარს; სხვა საქონელი და მომსახურების-13,4 ათას ლარს; აქედან: ოფისის ხარჯია 2,6 ათასი ლარი, კომუნალური მომსახურება - 2,6 ათასი ლარი (მ/შორის: ელექტროენერჯიის ხარჯია - 2,4 ათასი ლარი და კავშირგაბმულობა 0,2 ათასი ლარი) და ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯია 8,2 ათასი ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმა 1 884,6 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდისათვის ნაკისრმა ვალდებულებამ შეადგინა 1 771,6 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია 1 593,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 1 593,0 ათასი ლარით. რესურსი შეადგენს 112,8 ათას ლარს. რაიონში ფუნქციონირებს 52 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, მათ შორის 2 ლტოლვილთა საბავშვო ბაღია.

სოციალური ღონისძიებებისათვის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 1 452,1 ათასი ლარი, ვინაიდან სოციალური მუშაკების ხელფასის ანაზღაურება სხვა მომდევნო თვეში, ამიტომ იანვრის თვეში გაიცა 2005 წლის დეკემბრის თვის ხელფასი, რომელიც შეადგენდა 3,6 ათას ლარს, ნაცვლად 2006 წლის იანვრის თვეში გათვალისწინებული 3,0 ათასი ლარისა, რის გამოც საჭირო გახდა გეგმის დაზუსტება 0,7 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 452,8 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდისათვის ნაკისრმა ვალდებულებამ შეადგინა 1 452,8 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია 1 437,0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 437,0 ათასი ლარი, გეგმის 98,9 %-მა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით. აქედან: მარტოხელა უმწეო მღვთმარებელთა მყოფი ოჯახების სოციალურმა დახმარებამ დამტკიცებული გეგმით შეადგინა 736,7 ათასი ლარი, რომელიც დაფინანსებულია 725,5 ათასი ლარით, მ.შორის ადგილობრივი დაქვემდებარების უმწეო ოჯახი შეადგენს 4635 ოჯახს, რომელთა დაფინანსებისათვის გახარჯულია 658,4 ათასი ლარი. მათ შორის: ერთსულიანი ოჯახებისათვის -386,3 ათასი ლარი (2889 ოჯახი), ორი და მეტსულიანი - 91,6 ათასი ლარი (358 ოჯახი), დედამამით ობოლი ბავშვებისათვის - 16,0 ათასი ლარი (120 ბავშვი), უსინათლო I ჯგუფის არამომუშავე ინვალიდებისათვის - 95,8 ათასი ლარი (738 ოჯახი), 18 წლამდე ასაკის ბავშვობიდან ინვალიდებისათვის - 65,7 ათასი ლარი (517 ბავშვი) და მრავალშვილიან ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 7 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი - 3,0 ათასი ლარი (13 ოჯახი).

იძულებით გადაადგილებულ მარტოხელა უმწეო პენსიონერთა ოჯახების რაოდენობა შეადგენს 442 ოჯახს, რომელთა დაფინანსებისათვის დაიხარჯა 54,1 ათასი ლარი, მ.შორის ერთსულიანი ოჯახებისათვის - 32,5 ათასი ლარი (288 ოჯახი), ორი და მეტსულიანი - 4,8 ათასი ლარი (21 ოჯახი), დედამამით ობოლი ბავშვებისათვის - 1,1 ათასი ლარი (9 ბავშვი), უსინათლო I ჯგუფის არამომუშავე ინვალიდებისათვის - 3,2 ათასი ლარი (26 ოჯახი), 18 წლამდე ასაკის ბავშვობიდან ინვალიდებისათვის - 12,2 ათასი ლარი (97 ბავშვი) და მრავალშვილიან ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 7 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი - 0,2 ათასი ლარი (1 ოჯახი), ხოლო საფოსტო და საბანკო მომსახურებისათვის დაიხარჯა 13,0 ათასი ლარი. გაცემულია ექვსი თვის დახმარება, დავალიანება არ არის.

